

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
---------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	22
5. ძირითადი საშუალებები	24
6. არამატერიალური მარაგები	25
7. სასაქონლო მატერიალური მარაგები	25
8. გადახდილი ავანსები	25
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	25
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
12. შემოსავალი	26
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	26
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	27
16. პირობითი ვალდებულებები	27
17. ფინანსური რისკები	27
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგება	31
--------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

მოსაზრება ჩავატარეთ შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

მოსაზრების საფუძველი აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით "აუდიტორის პასუხისმგებლობა კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხი

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ „მმართველობით ანგარიშგებას“, (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის ანგარიშს), მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მათ შორის 'მმართველობით ანგარიშგებას'. ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია და განვსაზღვროთ ეს სხვა ინფორმაცია ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ამასთან, ჩვენ მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, 'მმართველობითი ანგარიშგების' გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

მოსაზრება სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე. ჩვენი აზრით: რომელიც ეყრდნობა აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

დასკვნა

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ლელა სამყურაშვილი გარიგების პარტნიორი (SARAS-A-225978)

შპს „მაკროაუდიტი“ (SARAS-F-265122)

2023 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია:

დირექტორი

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ „მმართველობითი ანგარიშგებას“, (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის ანგარიშს), მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მათ შორის 'მმართველობითი ანგარიშგებას'. ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ პასუხისმგებელი ვართ წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია და განვსაზღვროთ ეს სხვა ინფორმაცია ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ამასთან, ჩვენ მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, 'მმართველობითი ანგარიშგების' გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

მოსაზრება სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე. ჩვენი აზრით: რომელიც ეყრდნობა აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

დასკვნა

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ლელა სამყურაშვილი გარიგების პარტნიორი (SARAS-A-225978)

შპს „მაკროაუდიტი“ (SARAS-F-265122)

2023 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ხელმოწერა:

დირექტორი



შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4 838 162	5 374 742
არამატერიალური აქტივები	6	68 949	76 306
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 907 111	5 451 048
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	7 400 510	7 219 174
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	1 766 153	1 872 872
გადახდილი ავანსები	8	182 003	67 504
მარაგები	7	505 533	516 970
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 854 199	9 676 521
მთლიანი აქტივები		14 761 310	15 127 568
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		14 059 437	13 849 793
საწესდებო კაპიტალი		321 003	321 003
სულ კაპიტალი		14 380 440	14 170 796
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	225 581	243 811
საგადასახადო ვალდებულებები		155 289	712 962
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		380 870	956 773
მთლიანი ვალდებულებები		380 870	956 773
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		14 761 310	15 127 568

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

6

ტალი ტალიაშვილი

მარიკა ლომიძე

დირექტორი

ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4 838 162	5 374 742
არამატერიალური აქტივები	6	68 949	76 306
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 907 111	5 451 048
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	7 400 510	7 219 174
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	1 766 153	1 872 872
გადახდილი ავანსები	8	182 003	67 504
მარაგები	7	505 533	516 970
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 854 199	9 676 521
მთლიანი აქტივები		14 761 310	15 127 568
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		14 059 437	13 849 793
საწესდებო კაპიტალი		321 003	321 003
სულ კაპიტალი		14 380 440	14 170 796
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	225 581	243 811
საგადასახადო ვალდებულებები		155 289	712 962
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		380 870	956 773
მთლიანი ვალდებულებები		380 870	956 773
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		14 761 310	15 127 568

დამტკიცებულია მოსამართლედ და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

თალი ჭაბიაშვილი
დირექტორი

მარიკა ლომიძე
ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

(ლარში)	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	12	8 553 573	6 415 581
სხვა შემოსავლები		-	-
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(3 565 991)	(2 958 907)
საერთო მოგება		4 987 582	3 456 673
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2 114 393)	(2 330 407)
რეზერვის ცვლილება		(441 991)	-
საოპერაციო მოგება		2 431 197	1 126 267
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	817 379	1 024 863
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	(1 653 801)	(1 557 321)
მოგება დაბეგვრამდე		1 594 775	593 808
მოგების გადასახადი		(209 496)	(715 023)
პერიოდის მოგება		1 385 279	(121 215)
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 385 279	(121 215)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

7

ტალი ტალიაშვილი

მარიკა ლომიძე

დირექტორი

ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

(ლარში)	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	12	8 553 573	6 415 581
სხვა შემოსავლები		-	-
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(3 565 991)	(2 958 907)
საერთო მოგება		4 987 582	3 456 673
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2 114 393)	(2 330 407)
რეზერვის ცვლილება		(441 991)	-
საოპერაციო მოგება		2 431 197	1 126 267
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	817 379	1 024 863
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	(1 653 801)	(1 557 321)
მოგება დაბეგრამდე		1 594 775	593 808
მოგების გადასახადი		(209 496)	(715 023)
პერიოდის მოგება		1 385 279	(121 215)
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 385 279	(121 215)

დასტავიებულია მომოსაგებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

ტაღოშტალიაშვილი
დირექტორი

მარიკა ლომიძე
ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

(ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	321 003	19 350 471	19 671 474
მოგება წლის ბოლოს		(121 215)	(121 215)
კაპიტალის შევსება			-
კაპიტალიდან ამოღება			-
გაცემული დივიდენდი		(5 379 463)	(5 379 463)
2021 წლის 31 დეკემბერი	321 003	13 849 793	14 170 796
მოგება წლის ბოლოს		1 385 279	1 385 279
კაპიტალის შევსება			-
კაპიტალიდან ამოღება			-
გაცემული დივიდენდი		(1 175 635)	(1 175 635)
2022 წლის 31 დეკემბერი	321 003	14 059 437	14 380 440

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

8

 ტალი ტალიაშვილი

 მარიკა ლომიძე

დირექტორი

ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

(ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	321 003	19 350 471	19 671 474
მოგება წლის ბოლოს		(121 215)	(121 215)
კაპიტალის შევსება			-
კაპიტალიდან ამოღება			-
გაცემული დივიდენდი		(5 379 463)	(5 379 463)
2021 წლის 31 დეკემბერი	321 003	13 849 793	14 170 796
მოგება წლის ბოლოს		1 385 279	1 385 279
კაპიტალის შევსება			-
კაპიტალიდან ამოღება			-
გაცემული დივიდენდი		(1 175 635)	(1 175 635)
2022 წლის 31 დეკემბერი	321 003	14 059 437	14 380 440



განმარტებულია გასული წლებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

დირექტორი

მარიკა ლომიძე
ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2 022	2 021
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	9 843 673	7 536 319
სხვა რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	142 665	184 983
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	-	-
თანხის დაბრუნება მყიდველთან	-	-
მიღებული ფულადი სახსრები	9 986 339	7 721 302
ანგარიშვალდებული პირისგან თანხის დაბრუნება/მიღება	(158 869)	(146 950)
წინასწარ გადახდა	(3 520 712)	(2 137 453)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(472 292)	(696 019)
საბიუჯეტო გადასახადი	(828 579)	(980 117)
ავანსის მიღება მომხმარებელიდან	75 200	233 656
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	-	-
ხელფასის გადახდა	(2 767 264)	(2 598 725)
გადახდილი ფულადი სახსრები	(7 672 516)	(6 325 608)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 313 822	1 395 693
სხვა ხარჯების გადახდა	(35 897)	(26 463)
ბანკის საკომისიოს გადახდა	(440)	(110)
კურსთაშორის სხვაობა	(927 598)	(669 257)
დივიდენდი	(1 121 546)	(5 112 519)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2 085 480)	(5 808 349)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(47 007)	(403 218)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(47 007)	(403 218)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	181 335	(4 815 874)
ფული წლის დასაწყისში	7 219 174	12 035 048
ფული წლის ბოლოს	7 400 510	7 219 174

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

9

 ტალი ტალიაშვილი

 მარიკა ლომიძე

 დირექტორი

 ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საპროექტო-საკვლევა-მშენებლო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2 022	2 021
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	9 843 673	7 536 319
სხვა რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	142 665	184 983
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	-	-
თანხის დაბრუნება მყიდველთან	-	-
მიღებული ფულადი სახსრები	9 986 339	7 721 302
ანგარიშვალდებული პირისგან თანხის დაბრუნება/მიღება	(158 869)	(146 950)
წინასწარ გადახდა	(3 520 712)	(2 137 453)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(472 292)	(696 019)
საბიუჯეტო გადასახადი	(828 579)	(980 117)
ავანსის მიღება მომხმარებელიდან	75 200	233 656
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	-	-
ხელფასის გადახდა	(2 767 264)	(2 598 725)
გადახდილი ფულადი სახსრები	(7 672 516)	(6 325 608)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 313 822	1 395 693
სხვა ხარჯების გადახდა	(35 897)	(26 463)
ბანკის საკომისიოს გადახდა	(440)	(110)
კურსთაშორის სხვაობა	(927 598)	(669 257)
დივიდენდი	(1 121 546)	(5 112 519)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2 085 480)	(5 808 349)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(47 007)	(403 218)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(47 007)	(403 218)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	181 335	(4 815 874)
ფული წლის დასაწყისში	7 219 174	12 035 048
ფული წლის ბოლოს	7 400 510	7 219 174



გამოტანილია გამარტივებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:


 მარიკა ლომიძე
 ბუღალტერი

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2002 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 204986195.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტის” ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოები.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დავით ტალიაშვილი	59%	59%	59%
ტალი ტალიაშვილი	25%	25%	25%
ვლადიმერ ჯიქია	8%	8%	8%
რევაზ ჩიქოვანი	8%	8%	8%

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის ტალი ტალიაშვილი.

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია კომპანიის მიერ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ, რომელიც ძალაშია 2022 საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის შეფასებისა.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის სამომავლო გეგმები, რომელიც მდგომარეობს სასტუმროს მშენებლობას, ოპერირებას.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ თორმეტი თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) ამონაგები

კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება,

როდესაც კომპანია სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს. კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.;

(ბ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ან ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებული ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

(ბ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
მანქანა-დანადგარები	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7-10 წელი
შენობები	30 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და, თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

არამატერიალური აქტივები	სასარგებლო პერიოდის ვადა
ლიცენზიები	5 წელი
პროგრამები	5 წელი

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ

პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ზ) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და

კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(კ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

(ლ) საეჭვო ვალების რეზერვი.

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას, იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხებადებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები.

(მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

(ნ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(ო) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივითა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალშიმაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(3) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

(4) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(რ) ხარჯის აღიარება

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(ს) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შევსებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(ტ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(უ) სამართლიანი ღირებულების დადგენა კომპანია

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

(ფ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

(დ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა: ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად. 15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ

დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილ უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებიდან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, რომლებიც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ყ) დივიდენდები

კომპანიის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები. კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და გამოშვებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

(შ) გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(დ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის

მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
1 USD/GEL	2,7020	3,0976
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2020	2019
1 USD/GEL	.3,2766	2,8677

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი

შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება 2022 წელს

- მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები: □ ცვლილებები ფასს 3-თან დაკავშირებით, მითითება კონცეპტუალურ მიდგომაზე;
- □ ცვლილებები ბასს 16 ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე;
- □ ცვლილებები ბასს 37 წაგებიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ხელშეკრულების შესრულების ღირებულება.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე. კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ✓ ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები (მოიცავს 2020 წლის ივნისის და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებსაც ფასს 17-თან დაკავშირებით □
- ✓ ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 284 □ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები)
- ✓ □ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს პრაქტიკის განცხადება □
- ✓ ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები) □
- ✓ ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები) ~

სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

საბალანსო ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სათადარიგო წილები და მცირეფასიანი საგნები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	1 574 393	-	1 613 840	148 515	6 296 201	127 778	199 913	11 192 747	53 340	21 206 726
შეძენა	3 795	169 270	169 270	-	2 076	-	6 219	213 464	-	564 094
გასვლა/გაყიდვა	-	169 270	-	-	28 493	-	-	-	-	197 763
2021 წლის 31 დეკემბერი	1 578 187	-	1 783 110	148 515	6 269 785	127 778	206 131	11 406 211	53 340	21 573 057
შეძენა	-	2 211	2 211	-	15 669	633	17 575	-	-	38 299
გასვლა/გაყიდვა	-	211	-	-	-	-	-	-	-	2 211
2022 წლის 31 დეკემბერი	1 578 187	-	1 785 322	148 515	6 285 453	128 411	223 706	11 406 211	53 340	21 609 145
ცვეთა	-	-	540	67	-	-	151	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	481	429	-	5 179 686	94 895	017	9 461 934	47 147
ცვეთა	-	-	62	4	-	223 488	8 648	029	374 523	927
გასვლის შედეგად	-	-	243	054	-	27 187	-	-	-	27 187
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	602	71	-	5 375 987	103 543	046	9 836 457	48 074
ცვეთა	-	-	58	3	-	180 048	6 940	289	313 849	742
გასვლის შედეგად	-	-	948	852	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	661	75	-	5 556 035	110 483	336	10 150 306	48 816
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	-	673	335	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	1 574 393	-	1 073 359	81 086	1 116 515	32 882	48 896	1 730 812	6 192	5 664 135
2021 წლის 31 დეკემბერი	1 578 187	-	1 180 386	77 032	893 797	24 234	46 085	1 569 754	5 265	5 374 742
2022 წლის 31 დეკემბერი	1 578 187	-	1 123 649	73 180	729 418	17 928	55 370	1 255 905	4 524	4 838 162

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
 ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

		2022	2021
არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	212,912	209,652
არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია	-143,963	-133,345
სულ		68,949	76,306

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრით შედგება:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და სხვა დამხმარე მასალები	435 578	442 471
სათადარიგო ნაწილები	69 955	74 499
სულ მარაგები	505 533	516 970

8. გადახდილი ავანსები

	2022
გადახდილი ავანსები	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 182,003
სულ	182,003

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,082,928	1 191 921
საექვო მოთხოვნების კორექტირება	564 752	564 752
საბაჟოსთვის გადახდილი ავანსები	5	5
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	118,468	116,194
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,766,153	1,872,872

კომპანიას გააჩნდა 441,991 ლარის უიმედო ვალი რომელიც 1 წელზე მეტი ვადაგადაცილებაშია სრულად შეიქმნა მასზე რეზერვი, რომელიც ხანდაზმულობის გამო სრულად იქნა ჩამოწერილი მოთხოვნებიდან.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	7 977	10 438
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 457 804	2 481 096
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 934 729	4 727 641
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7 400 510	7 219 174

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	225.560	243,695
სხვა დარიცხული ვალდებულებები	21	116
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	225,581	243,811

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

12. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები 2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
შემოსავალი რეალიზიციიდან	8 553 573	6 415 581

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემქნა	205 773	129 849
პირდაპირი ხელფასი	2 754 730	2 489 139
საწვავი	605 164	339 815
სხვა საოპერაციო ხარჯები	324	105
სულ	3 565 991	2 958 907

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2022	2021
მომსახურების ხარჯი	473 077	617 999
ხელფასის ხარჯი	776 832	815 427
დაზღვევის ხარჯი	950	950
ცვეთის ხარჯი	583 285	693 477
ქონების გადასახადის ხარჯი	36 793	51 353
სხვა მცირეფასიანი ხარჯი	52 435	17 825
კომუნალური ხარჯი	63 961	51 116
მივლინების ხარჯი	117 206	82 260
მიწის გადასახადის ხარჯი	9 854	-
სულ	2 114 393	2 330 407

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
კურსთაშორის ზარალი	1 633 116	1 507 555
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	13 026	25 670
განსაკუთრებული ხარჯები	7 658	24 096
სულ	1 653 801	1 557 321

არასაოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	142 665	184 983
კურსთაშორის მოგება	674 714	828 906
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	2 923
განსაკუთრებული შემოსავლები	-	8 050
სულ	817 379	1 024 863

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი. საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2022 წლის დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

17. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად

შპს „საპროექტო-საკვლევა-ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს(სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებისა და რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კომპანია ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,766,153	1 872 872
ფული ბანკში	7 400 510	7 219 174
სულ	9,166,663	9 092 046
	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
სავაჭრო ვალდებულებები	225 581	243 811
საგადასახადო ვალდებულებები	155 289	712 962
სულ	380 870	956 773
წმინდა დადებითი პოზიცია	8,785,793	8 135 274

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში. კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყევბა ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, შედეგად კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო თანხები.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და

გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით. კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკებზე დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
 დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
 ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
 ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიებს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არ გააჩნია.

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში.

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასები	438,480	415,270

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „საპროექტო-საკვლევა-ინჟინერ-ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
 ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
 დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
 ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
 ვ) დასაქმების შემდგომი შედგავთების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიებს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არ გააჩნია.

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში.

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასები	438,480	415,270

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დირექტორი:   მთ. ბუღალტერი: 

მმართველობითი ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს საპროექტო „ტრანსპროექტი“ ოქტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204986195

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა 13;

ელექტრონული მისამართი: info@transproject.ge

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები:

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ წარმოადგენს შპს საქსახგზაპროექტის“ უფლებამონაწილეს, რომლის არსებობის ისტორია 1952 წლიდან იწყება. შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოებს. ინსტიტუტი წარმატებით უზრუნველყოფს საავტომობილო გზების და მასზე განლაგებული ყველა საინჟინრო და ხელოვნური ნაგებობის მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაციების განხორციელებას. ინსტიტუტი აღჭურვილია სავსე ტოპოგრაფიული და საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო თანამედროვე ინსტრუმენტებით, სადაზვერვო და საბურღი მანქანებით და მოწყობილობებით. ყველა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულებას ინსტიტუტი ახორციელებს ავტომატიზირებული სისტემებით, ბოლო თაობის კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. ინსტიტუტში დაკავებულის საგზაო დარგის, ხელოვნური ნაგებობების, მოძრაობის უსაფრთხოების, მშენებლობის ორგანიზაციის, ჰიდროლოგიის, საინჟინრო გეოლოგიის და გეოდეზიის, სახარჯთაღრიცხვო და სხვა დარგების 68 მუდმივი მაღალკვალიფიციური თანამშრომელი. შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ ასრულებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ძირითად საპროექტო სამუშაოებს. ინსტიტუტი წარმატებით უზრუნველყოფს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ საავტომობილო გზების და მასზე განლაგებული ყველა საინჟინრო, ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების (ხიდეები, გვირაბების საყრდენი კედლები, სატრანსპორტო კვანძები, სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობები, სატრანსპორტო კომუნიკაციები) მშენებლობის კაპიტალური და საშუალო რემონტის განხორციელებას ყოველგვარი საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაციის (გენერალური გეგმები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, სპეციალური შეწვავა, საინჟინრო პროექტი, ეკოლოგიური შეფასება, გეოლოგიური და გეოდეზიური ძიება, წინასაპროექტო შეფასება და დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება საერთაშორისო და ეროვნული კონკურსისათვის). შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი თავისი საკუთარი რესურსებით და გამოცდილი საინჟინრო გუნდით“ ასრულებს: საინჟინრო-სადიებო სამუშაოებს მშენებლობისათვის (იმ ტერიტორიების ჩათვლით სადაც განსაკუთრებით რთული გეოლოგიური და კლიმატური პირობებია - 7 ბალიანი და მეტი სეისმურობა, დენადი და რბილი გრუნტები)

1. საინჟინრო-გეოდეზიური ძიება

- სადიებო-საპროექტო მიზნებისათვის 1:1000 – 1:2000 მასშტაბის ტოპოგრაფიული აგეგმვა;
- ხაზობრივი ტიპის საინჟინრო ნაგებობათა ტრასირება;
- საინჟინრო გეოლოგიური გამონამუშევრების ნატურასთან მიხედვით გეოდეზიური სამუშაოები;

-
- 2. საინჟინრო გეოლოგიური ძიება
 - რეკონოსცირება;
 - საინჟინრო გეოლოგიური დაზვერვა და აგეგმვა;
 - ბურღვის სამუშაოები;
 - გეოფიზიკური სამუშაოები;
 - გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევა;
 - საცდელი-ფილტრაციული სამუშაოები და გრუნტების საველე გამოცდა;
 - 3. საინჟინრო-ჰიდროლოგიური გამოკვლევები
 - ჰიდროლოგიური სამუშაოები მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე;

საპროექტო სამუშაოებს მშენებლობისათვის

(იმ ტერიტორიების ჩათვლით, სადაც განსაკუთრებით რთული გეოლოგიური და კლიმატური პირობებია - 7 ბალიანი და მეტი სეისმურობა, დენადი და რბილი გრუნტები)

- 1. სატრანსპორტო ობიექტების დაპროექტება
- რკინიგზები (მიწის ვაკისის მოწყობა, ხიდები და გვირაბები);
- საავტომობილო გზები;
- აეროდრომები;
- ხიდები, გვირაბები და სხვა საინჟინრო ნაგებობები გზებზე;
- 2. შენობა-ნაგებობების და კომპლექსების არქიტექტურა
- ობიექტების გენერალური გეგმები;
- საწარმოო დანიშნულების ობიექტები;
- სატრანსპორტო მშენებლობისა და კავშირგაბმულობის ობიექტები (ყველა ტექნიკური კატეგორიის გზები, გზაგამტარები);
- 3. სამშენებლო გეგმარება და კონსტრუირება
- სამშენებლო კონსტრუქციები, კვანძები და დეტალები;
- საძირკვლები;
- 4. საინჟინრო ქსელები და სისტემების გეგმარება
- გათბობა, ვენტილაცია და კონდიცირება;
- ენერგომომარაგება;
- ელექტროგანათება;
- 5. პროექტის სპეცილური ნაწილების დამუშავება
- გარემოს დაცვა
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- ხარჯთაღრიცხვები;
- ინვესტირების რენტაბელობა;

კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობის შესახებ:

ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობა

შპს "საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი", როგორც ქვეკონტრაქტორი, თავისი ძალებით და საშუალებებით ასრულებს Ø600, Ø800, Ø900 Ø1000, Ø1200 და Ø1500 მმ ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოების სრული მოცულობით.

სამუშაოები სრულდება დამკვეთთან (კერძო კომპანიებთან) გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. წინასწარ ხდება სამშენებლო ობიექტის დათვალიერება, პროექტისა და გეოლოგიური მასალების გაცნობა. სახელშეკრულებო ფასი ინდივიდუალურია ყოველ ობიექტზე და დამოკიდებულია ხიმინჯის დიამეტრზე, სიღრმეზე, გეოლოგიურ პირობებზე, სამშენებლო ობიექტის ადგილმდებარეობაზე და სამშენებლო სამუშაოების მოცულობაზე.

საჭირო მანქანა დანადგარები და ინვენტარი

მშენებლობებზე რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები წარმოებს „Soilmec“ ფირმის, მოდელი SR-60 საბურღი მანქანით, რომელსაც ემსახურება პერსონალი შემადგენლობით: ტექნიკური ინჟინერი, ერთი ოპერატორი მემანქანე და სამი ოპერატორის დამხმარე. მანქანა სატრანსპორტო მდგომარეობაში იწონის 56 ტონას.

საჭირო მანქანა-დანადგარების და ინვენტარის ტრანსპორტირება ხდება სამშენებლო მოედანზე, რომელიც განთავსდება დამკვეთის მიერ გამოყოფილ ადგილზე:

- საბურღი აგრეგატი Soilmec SR-60
- ტელესკოპური შტანგა
- მოსაწყობი ხიმინჯის დიამეტრის შესაბამისი დიამეტრის გრუნტის სამაგრი მილები
- მოსაწყობი ხიმინჯის დიამეტრის შესაბამისი დიამეტრის საბურღი შნეკი

- მოსაწყობი ხიმინჯის დიამეტრის შესაბამისი დიამეტრის საბურღი ციფხვი
- ბეტონის სახსმელი მილები

საბურღი მანქანის სატრანსპორტო მდგომარეობიდან მუშა მდგომარეობაში მოყვანის ეტაპები

- საბურღი მანქანის გადაადგილების მუხლუხა მექანიზმის სატრანსპორტო მდგომარეობაში ფიქსაციის ოთხი ადგილიდან გათავისუფლება, მუხლუხა მექანიზმის გახსნა გაბარიტული ზომიდან 3.0 მეტრი 4.5 მეტრზე და დაფიქსირება ოთხ ადგილზე მუშა მდგომარეობაში.
- საბურღი მანქანის ანძის სატრანსპორტო დამჭერებისაგან განთავისუფლება, დაწვენილ მდგომარეობაში ორი სახსრის გადამა.

- საბურღი მანქანის ანძის წამოყენება

- როტორის შეერთება ჰიდრავლიკურ ცილინდრთან
- ტელესკოპური შტანგის მონტაჟი

ხიმინჯის მოწყობის ეტაპები

- ჭაბურღილის გაბურღვა
- ჭაბურღილში არმატურის კარგასის ჩაყენება
- ჭაბურღილის ბეტონირება
- გამოყენებული ინვენტარის მომსახურება

1. ჭაბურღილის გაბურღვა

- 1.1. საბურღი მანქანის გასაბურღ წერტილზე მიყვანა უნდა მოხდეს წინასწარ სათანადოდ მომზადებულ მოედანზე.
- 1.2. თითოეული ჭაბურღილის ბურღვა იწყება გასაბურღ წერტილზე დადგმული სამაგრი მილის კოორდინატების დამკვეთის მიერ შემოწმებისა და სამუშაოთა წარმოების ჟურნალში ჩანაწერის გაკეთების შემდეგ.

1.3. ჭაბურღილის ბურღვა მოხდება დამკვეთის მიერ მითითებულ სირღმეზე.

1.4. ჭაბურღილიდან ამოღებული გრუნტის დაყრა მოხდება საბურღი მანქანის კოშკურის ბრუნვის ზონაში.

1.5. არამდგრადი გრუნტების არსებობის შემთხვევაში, ბურღვა მოხდება გრუნტის სამაგრი მილების გამოყენებით, რომლებიც ერთმანეთზე იწყობა 4 მეტრიანი სექციებით, ხოლო პირველ მილზე დამონტაჟებულია სალი შენადნობის მასალისგან დამზადებული კბილებიანი გვირგვინა.

1.6. ბურღვის პროცესში საბურღი გრუნტის თვისებებიდან გამომდინარე გამოყენებული იქნება შესაბამისი ბურღვის ტექნოლოგია, მჭრელი ინსტრუმენტით აღჭურვილი შნეკი და ციცხვბურღი.

1.7. ბურღვის პროცესის დასრულების შემდეგ მოხდება ჭაბურღილის ძირის ამოწმება და დამკვეთის მიერ ჭაბურღილის ძირის მიღების შესახებ სათანადო ჩანაწერის გაკეთება სამუშაოთა წარმოების ჟურნალში.

2. ჭაბურღილში არმატურის კარკასის მოწყობა

2.1. არმატურის კარკასის პირველი სექცია საბურღი მანქანის ამწე მექანიზმით აიღება სამშენებლო მოედნიდან და ეშვება ჭაბურღილში.

2.2. გრუნტის სამაგრი მილში ხდება არმატურის კარკასის სექციის დაფიქსირება ფოლადის ღეროთი.

2.3. ჩაიხსნება ამწე მექანიზმი დაფიქსირებული კარკასიდან.

2.4. არმატურის კარკასის მომდევნო სექცია ყენდება სამაგრი მილში დაფიქსირებულ არმატურის კარკასის წინა სექციაზე.

2.5. არმატურის კარკასის სექციების შედუღების შემდეგ, ხდება საბურღი მანქანის ამწე მექანიზმით არმატურის კარკასის შედუღებული სექციების აწევა, სამაგრი მილში ფოლადის ღეროთი დაფიქსირებული არმატურის კარკასის სექციის ფოლადის ღეროსგან გათავისუფლება, რის შემდეგაც აწყობილი არმატურის კარკასი ეშვება ჭაბურღილში.

3. ჭაბურღილის ბეტონირება

3.1. ჭაბურღილის ბეტონირება ხდება ბეტონით, რომლის კონუსის ჯდენა უნდა იყოს არანაკლებ 22 სმ და მისი შეკვრის მაჩვენებელი უნდა გახანგრძლივდეს არანაკლებ 3 საათისა.

3.2. ბეტონის მიწოდება ჭაბურღილის ძირზე ხდება საბურღი მანქანის ამწე მექანიზმზე დაკიდებული, ჰერმეტიკულად აწყობილი, მიმღებ ძაბრიანი Ø250 მმ, 2, 3, და 4 მეტრი სიგრძის მქონე ბეტონის სასხმელი მილებით.

3.3 ბეტონის სასხმელი მილის სიგრძე დაახლოებით უტოლდება ჭაბურღილის სიგრძეს.

3.4. ბეტონირების დაწყებამდე ბეტონის სასხმელ მილში უნდა ჩაიდოს ერთჯერადი დიაფრაგმა (ბურთი) ბეტონის სასხმელ მილში წყლისა და ბეტონის გასაყოფად.

3.5. ჭაბურღილის ბეტონირების შემდეგ საბურღი მანქანის ამწე მექანიზმით ხდება ბეტონის სასხმელი მილების ჭაბურღილიდან ამოწევა.

3.6. ჭაბურღილიდან ამოსულ ბეტონს უნდა მოსცილდეს დეფექტური ფენა, მიახლოებით დაკორექტირდეს ბეტონის დონე ჭაბურღილში და ამოღებული იქნას ბეტონის სასხმელი და გრუნტის სამაგრი მილები.

4. გამოყენებული ინვენტარის მომსახურება

დამკვეთის მიერ მოწოდებული წყალმომარაგების ქსელიდან სარეცხი მოწყობილობის საშუალებით ხდება ბეტონირების დროს გამოყენებული ინვენტარის გარეცხვა.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” მუშაობს დირექტორის ტალი ტალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 40 წელზე მეტია, რაც მართავს ინსტიტუტს და მისი მენეჯმენტი საწინდარია ყველა იმ წარმატებისა, რაც მართავს ინსტიტუტს და მისი მენეჯმენტი საწინდარია ყველა იმ საერთაშორისო არენაზე.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” 2015-2018 წლებში დაჯილდოვებულია ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის კავშირის მიერ ორდენებით “დარგის ლიდერი” და მინიჭებული აქვს ეროვნული სერტიფიკატი “დარგის ლიდერი”.

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” აგრეთვე ახორციელებს ბურღვით სამუშაოებს, ნაბურღ-ნატენი ხმინჯების მოწყობას.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტს” გააჩნია გარდამავალი ხელშეკრულები 2019 წლიდან 2020 წლამდე და ინსტიტუტი ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე აგრძელებს თავის საქმიანობას როგორც საპროექტო აგრეთვე საბურღ საქმიანობებში.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი”

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“
ფინანსურ ანგარიშგების დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ აგრეთვე ახორციელებს ბურღვით სამუშაოებს, ნაბურღ-ნატენი ხმიწელების მოწყობას.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტს“ გააჩნია გარდამავალი ხელშეკრულები 2019 წლიდან 2020 წლამდე და ინსტიტუტი ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე აგრძელებს თავის საქმიანობას როგორც საპროექტო აგრეთვე საბურღ საქმიანობებში.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“

დირექტორი:



The image shows a handwritten signature in blue ink over a circular official stamp. The stamp contains the text 'საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი' (Project-Research Institute) and 'ტრანსპროექტი' (Transproject) around a central emblem. The number '204986195' is visible at the bottom of the stamp.